სპორტი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 11 აგვისტო 2005 №182 (2504) ფასი 50 თეთრი



ნაკრები დალაგდეს და ვიფიქრებ

ინტერვიუ თემურ ქეცბაიასთან

2



ბექემის ქალები და საკონტრაქტო იდილია

სენსაციური ფოტო უვედურ ჟურნალში

6

მშიერი ქართველი მგლებში

ცქიტიშვილი მინესოტაში დარჩა

12

ექსკურსია არ იქნება!

სერგეი ტიმოფეევი: საქართველოს ნაკრებს ნამდვილ სიურპრიზს ვუმზადებთ

...თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ შესარჩევი ეტაპის ბოლო თამაში შინ თურქეთის ნაკრებთან 0:6 წავაგეთ, ქართველებთან შეხვედრა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

...თუ მეტოქეები ფიქრობენ, რომ ჩვენთან გაისეირნებენ, ვერ ჰქონიათ მაშინ საქმე კარგად.

...თუ თამაშის დღეს მაგარი სიცხე იქნება, ამ მხრივ პრობლემა მარტო ქართველებს კი არა, ჩვენც შეგვექმნება. სიცხეში თამაში ჩვენი კოზირი ნამდვილად არაა.

...საქართველოს ნაკრებს ნამდვილ სიურპრიზს ვუმზადებთ.

ისევ წვიმს, ისევ ქარია

ამერიკელი ტაიანა მედისონი 6,89 მეტრს გადაევლო

AFP ჰელსინკიდან

თემურ ქეცბაია: ნაკრებში დალაგდეს და ვიფიქრებ

დარწმუნებულები ვართ, უყურებდა ქართველი გულშემატკივარი „ანართოსისისა“ და „გლაზგო რეინჯერსის“ საჩემპიონთალიგო შეხლას და ფიქრობდა, როდის ითამაშებენ ქართული კლუბები ევროტურნირებზე კვიპროსელებივით გამართულად და ჯიგრიანად.

თემურ ქეცბაიას გაწვრთნილებმა საერთო ჯამში კი დაჩაგრეს შოტლანდიელები, თუმცა ფეხბურთისთვის მთავარი ვერ გააკეთეს — უამრავი მომენტი ვერ გამოიყენეს.

„ანართოსისის“ 37 წლის თავკაცს გუშინ შევეხმიანეთ და „ჩაფრებთან“ მატჩის გარდა საქართველოს ნაკრებზეც ველაპარაკეთ...

უეფა ჭკვიანია, მაგრამ გლაზგო ტურისტული ქალაქი არაა



— ალბათ, გულგატეხილი ხართ. „რეინჯერსთან“ დიდი უპირატესობა გქონდათ და მაინც წააგეთ...

— ისეთი თამაში იყო, ჩვენთვის ყველაზე ცუდ ვარიანტში ფრედ მაინც უნდა დასრულებულიყო. როცა ამდენი მომენტი გაქვს და გოლი ვერ გაგაქვს, აუცილებლად დაისჯები. თანაც ვიღაცას კი არა, „რეინჯერსს“ ვეთამაშებოდით. რას იზამ, ფეხბურთში ალოგიკურობას ხშირად შეხვდები.

— „ანართოსისის“ დაცვა ორივე გოლისას ძალიან დაიბნა...

— დაცვამ დაგვღუპაო, ვერ ვიტყოდი, მაგრამ მატჩის წინ რთულ მდგომარეობაში ვიყავით — „ტრაბზონსპორთან“ გაძევებული მცველი და კიდევ ძირითადის ორი ნახევარმცველი არ გვყავდა. ისე, მთელი მატჩის უშეცდომოდ ჩატარება წარმოუდგენელია, მაგრამ ისიცაა, რომ მეტოქე შეცდომებს ყოველთვის ვერ იყენებს. სამწუხაროდ, ამ კონკრეტულ თამაშში გლაზგოელებმა მაქსიმალურად გამოიყენეს.

— როგორ ფიქრობთ, გასვლის შანსი კიდევ გაქვთ?

— ყოველ შემთხვევაში, ჯერ არ გავვარდნილვართ. ძნელი იქნება სტუმრად თამაშის შემოტრიალება, მაგრამ გლაზგოში ტურისტებად ჩასვლას არ ვაპირებთ. „ანართოსისს“ ბოლომდე ბრძოლა სულში აქვს გამჯდარი.

— შოთა არველაძეს თუ გამოჰკითხეთ „რეინჯერსის“ ძლიერ და სუსტ მხარეებზე?

— კი, შოთამ მოგვაწოდა რაღაც ინფორმაციები, თუმცა „რეინჯერსს“ ისედაც კარგად ვიცნობდი. მეტოქე კარგად გავშიფრეთ, რაც თამაშშიც აისახა. საგოლე მომენტებიც საკმაოდ გვქონდა, მაგრამ რა, გლაზგოელებს მეორე ტაიმში ორი შანსი ჰქონდათ და ორჯერვე გაიტანეს.

— მსაჯობაზე რას იტყვით? ისე ჩანდა, ბელგიელი არბიტრი ცოტ-ცოტას ეხმარებოდა შოტლანდიელებს...

— არ მინდა, „რეინჯერსს“ მოგება დავუკნინო და ვთქვა, თითქოს მსაჯებმა მოაგებინეს, მაგრამ იდეალურადაც რომ არ უმსაჯიათ, ეს თქვენც ნახეთ. გარდა იმისა, რომ არბიტრს გლაზგოელთა კარში ორჯერ პენალტის დანიშვნა შეეძლო, ერთი შოტლანდიელი გასაძევებლად არ გაიმეტა, მეორე ყვითელი ბარათი არ მისცა. იმ ეპიზოდში ჩვენიანი რომ ყოფილიყო, ეგრევე წითელ ბარათს ამოუღებდა. ისე, მცირე გადახრას ველოდი კიდეც: „რეინჯერსი“ „ანართოსისზე“ ბევრად სახელიანი გუნდია და უეფა სულელი კი არაა. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე შოტლანდიელთა გასვლა არ აწყობდეს?!

— ისე, ლიგაში თუ არა, უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გასვლის შანსი მაინც გაქვთ და „ანართოსისისთვის“ იქ მოხვედრაც დიდი წარმატება იქნება...

— ჯერ გლაზგოური მატჩია, მაგრამ დავუშვათ, გავვარდით — არც ამ შემთხვევაში მოგვიწევს იოლი ბარიერი, უეფას თასის ჯგუფში მოსახვედრად ერთი გუნდი უნდა გავაგდოთ და შესაძლოა, ის გუნდი „რეინჯერსზე“ ძლიერიც იყოს. თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში მოსაგებად ვიბრძოლებთ. აი, თუნდაც „ტრაბზონსპორი“, ჩემი აზრით, გლაზგოელებზე ძლიერია ტექნიკურად, მაგრამ ვაჯობეთ და მთელი კვიპროსი გავახარეთ.

— ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა სურვილი გამოთქვა, ნაკრების ახალ თავკაც გაიოზ დარსაძეს დახმარებოდით. თქვენი პასუხი გასაგებია — ახლა დაკავებული ხართ, მაგრამ მომავალში მაინც თუ ფიქრობთ საქართველოს ნაკრებში მუშაობაზე?

— დღესდღეობით „ანართოსისს“ ვერ დავტოვებ, მომავალში კი ყველაფერი შეიძლება მოხდეს. თუმცა ნაკრებში ჯერ საფუძველი უნდა შეიქმნას, ისეთი მდგომარეობა უნდა იყოს, რომელზეც ქართველი ხალხი ოცნებობს. ბევრი რამეა გასაკეთებელი, მოსაწესრიგებელი მარტო ის კი არაა, არიქა, მწვრთნელი ვარ და მომყევითო.

— გაიოზ დარსაძე რომ დაგიკავშირდათ, გიორგი ქინქლაძისა და კობა წიტაიშვილის ნაკრებში აყვანაზე რეკომენდაცია ხომ არ გაგიწევიათ?

— ეს მისი გადასაწყვეტია. ისე, ვინც „რეინჯერსთან“ თამაში ნახა, გიორგი ქინქლაძეზე ვერ იტყოდა, თამაში აღარ შეუძლიაო. კაი საუკეთესო იყო და იგივეს ვიტყვი წიტაიშვილზეც.

— „ანართოსისით“ დავამთავროთ: კიდევ რომელიმე ქართველი ფეხბურთელის დამატებას ხომ არ ფიქრობთ?

— არა, ამ ეტაპზე ეს გეგმაში არ მაქვს.

ილია ნანობაშვილი

ჩემპიონთა ლიგა 2005-2006

III საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

მალმიო (შვედეთი) 0:1 თუნი (შვეიცარია)
ბაზელი (შვეიცარია) 2:1 ვერდერი (გერმანია)
სპორტინგი (პორტუგალია) 0:1 უდინეზე (იტალია)
შახტარი (უკრაინა) 0:2 ინტერი (იტალია)
სტიაუა (რუმინეთი) 1:1 რუსენბორგი (ნორვეგია)
პეტრჟალკა (სლოვაკეთი) 0:0 პარტიზანი (სერბეთი)
ბრონდბიუ (დანია) 2:2 აიაქსი (ჰოლანდია)
ანდერლეხტი (ბელგია) 2:1 სლავია (ჩეხეთი)
რაპიდი (ავსტრია) 1:1 ლოკომოტივი (რუსეთი)
ცსკა (ბულგარეთი) 1:3 ლივერპული (ინგლისი)

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XVIII ტური

ინტერი 4:0 ლაჰტი

ინგლისი

I ლიგა. II ტური

ჩესტერფილდი 1:3 ბრენტფორდი

II ლიგა. II ტური

ბოსტონი 1:1 შრიუსბერი
ოქსფორდი 1:0 ტორკი

შვეიცარია

გადადებული მატჩი

იანგ ბოიზი 0:0 აარაუ

ნორვეგია

I დივიზიონი
XVIII ტური

ჰიონეფოსი 1:1 ალტა
ბრინი 0:2 მოსი
ლოვ ჰამი 3:1 ტონსბერგი
კონგსვინგერი 2:1 მანდალი
ჰორს გრენლანდი 2:0 სტრომგოდსეტი
სკეიდი 2:5 ჰოდი
სანდეფიორდი 0:0 სოგნდალი
სტაბეკი 1:1 ჰოლო

რუსეთი

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი

ტორპედო 0:2 ცსკა

ისლანდია

პრიმერადივიზიონი
გადადებული მატჩი

ჰაფნარფიორდური 8:0 გრინდავიკი

შვედეთი

სუპერეტა
გადადებული მატჩი

იოსტერი 2:0 ვესბი

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი

ჩვენი მეტოქეები

სულ რაღაც ექვსი დღე და ალმათის ცენტრალურ სტადიონზე საქართველოს ნაკრები ყაზახეთის ეროვნულ გუნდს შეხვდება მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მორიგ შესარჩევ მატჩში.

გასაკვირია, მაგრამ ფაქტია: მაშინ, როცა სერგეი ტიმოფეევის შეგირდები უკვე მესამე დღეა, შეკრებაზე არიან, დიდი შანსია, ქართველები ყოველგვარი შეკრების თუ თუნდაც ერთი ვარჯიშის გარეშე გაემგზავრონ ალმათიში.

რაც უნდა იყოს, მატჩი ოფიციალურია და ყაზახები რომ ქართველებთან შეხვედრისთვის საგანგებოდ ემზადებიან, აზიელთა მწვრთნელ სერგეი ტიმოფეევის ნაუბრიდანაც ჩანს.

ტიმოფეევს ყაზახეთის ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშის, ალექსანდრ კეპლინის დახმარებით დავუკავშირდით. კეპლინმა გვითხრა, მართალია, ჩვენი მწვრთნელი ძალიან დაკავებულია, მაგრამ ქართულ გაზეთთან ინტერვიუსთვის სიამოვნებით მოიცლისო...

საქართველო? რა პრობლემაა...

ტიმოფეევმა, მოედანზე მეტნი ვიქნებითო

— უპირველეს ყოვლისა, რას ელით ამ მატჩისგან?

— თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ შესარჩევი ეტაპის ბოლო თამაში შინ თურქეთის ნაკრებთან 0:6 წავაგეთ, ქართველებთან შეხვედრა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. გვინდა მაღალი დონის, კარგი ფეხბურთი ვითამაშოთ, რათა გულშემატკივარი გავახაროთ და მათ თურქეთთან ნაწვნევი სირცხვილი დავავიწყოთ, თვალი გავუსწოროთ.

— ნაკრების შემადგენლობა საგრძნობლად გადაახალისეთ, რისთვისაც დღემდე გაკრიტიკებენ. რატომ მოიქეცით ასე?

— მინდა გითხრათ, რომ ეს ნაბიჯი შეგნებულად გადავდგი და გეტყვით, რატომაც — ერთი რომ, ეს ახალგაზრდები ჩვენი ნაკრების მომავალია. მინდა, ისინი თანდათანობით მივაჩვიო უმაღლეს დონეზე თამაშს, გამოცდილება მიიღონ, თორემ მარტო ყაზახეთის ჩემპიონატში ჩატარებული მატჩებით ვერ გაიზრდებიან. სად ჩვენი ჩემპიონატის მატჩები და სად მსოფლიოსა თუ ევროპის შესარჩევები. და მეორეც: ჩემს გუნდში ადგილი დაჯავშნული არავის აქვს, ვინც უკეთ იქნება მზად კონკრეტული მატჩისთვის, იმას გამოვიძახებ.

— საქართველოს ნაკრებზე რა იცით, ვინმეს თუ გამოარჩევთ?

— არ მინდა, ქათინაურად ჩამომართვათ, მაგრამ ნაკრები, რომელშიც „მილანის", „შალკეს", „გლაზგო რეინჯერსისა" და მოსკოვის „ლოკომოტივის" ფეხბურთელები იყრიან თავს, არ შეიძლება, სუსტი იყოს. ვფიქრობ, ვინმეს გამორჩევას აზრი არ აქვს, საქართველოს ნაკრებს არაერთი მაღალი დონის მოთამაშე ჰყავს.

— ყაზახეთის ნაკრებს შესარჩევ ჯგუფში ჯერ ქულაც არა აქვს. მიგაჩნიათ, რომ ამის ერთადერთი შანსი სწორედ ქართველებთან გაქვთ?

— რატომ ერთადერთი..?! ჩვენ ხუთი შეხვედრა გვაქვს ჩასატარებელი და ქულების განიავებას ნამდვილად არ ვაპირებთ. თუ მეტოქეები ფიქრობენ, რომ ჩვენთან გაისეირნებენ, ვერ ჰქონიათ მაშინ საქმე კარგად. ბოლოს ჩატარებული სამი მატჩიდან მხოლოდ თურქეთმა დაგვჯაბნა, თორემ უკრაინას და ალბანეთს არაერთი თავსატეხი გავუჩინეთ. სამწუხაროდ, მათთან თამაშისას იღბალმა ზურგი გვაქცია და არც გამოცდილება გვეყო...

— და თქვენ ფიქრობთ, რომ საქართველოსთან ერთს კი არა, სამ ქულას აიღებთ?

— რატომაც არა?! გითხარით, ჩვენ მხოლოდ ერთი მატჩი ჩავაგდეთ, სადაც თურქებმა აშკარად გვაჯობეს. პირდაპირ გეტყვით, ჩემს ბიჭებს თამაშიდან თამაშამდე პროგრესს ვამჩნევ და ეს ძალიან მახარებს. აი, თურქეთთან რა დაგვემართა, დღემდე ვერ გამიგია.

— 50-გრადუსიან სიცხეში თამაში ყაზახეთის ნაკრებისთვის ალბათ გვარიანი შეღავათი იქნება...

— მთლად ასეც არაა საქმე. თუ თამაშის დღეს მაგარი სიცხე იქნება, ამ მხრივ პრობლემა მარტო ქართველებს კი არა, ჩვენც შეგვექმნება. სიცხეში თამაში ჩვენი კოზირი ნამდვილად არაა.

— მაინც რის ხარჯზე აპირებთ საქართველოს ნაკრებთან მოგებას?

— ვიმედოვნებ, რომ ჩემი ფეხბურთელები მოედანზე უფრო მეტნი იქნებიან. არ ვხუმრობ — ამაში გულშემატკივარს ვგულისხმობ. სტადიონზე მოსული ქომაგი სწორედაც რომ, ჩვენი მეთორმეტე მოთამაშე იქნება. ისეთი ტემპით იყიდება ამ მატჩის ბილეთები, სრული ანშლაგი გარანტირებულია. ხოლო ტაქტიკაზე და მისთანებზე, ცხადია, ახლა არ ვილაპარაკებ. გეტყვით მხოლოდ იმას, რომ საქართველოს ნაკრებს ნამდვილ სიურპრიზს ვუმზადებთ.

— სულ რამდენიმე დღეა, რაც საქართველოს ნაკრებს მწვრთნელი დაუნიშნეს. ოფიციალურ მატჩამდე კი თითქმის არაფერია დარჩენილი. ეს ამბავი თქვენთვის ერთგვარი უპირატესობაა?

— ვფიქრობ, ეს უფრო საქართველოს ნაკრების პრობლემაა, ვიდრე ჩვენი უპირატესობა. ასე რომ, მე ახლა არ ვარ ვალდებული, პლუს-მინუსებზე ვილაპარაკო.

— და ბოლოს: თქვენი პროგნოზი...

— ყველაფერს გავიღებთ, რათა მოვიგოთ. აბა, სხვანაირად რა აზრი აქვს მინდორზე გასვლას?!

გიორგი გაზაძიძე

მორტენმა თბილისში მორტენი დაინახა

დანიელთა საინგლისო სია

მაშინ, როცა საქართველოს ნაკრები მსოფლიოს 2006 წლის შესარჩევი ეტაპის მატჩში ყაზახეთს ეთამაშება, ჩვენი თანაჯგუფელი დანია ამხანაგურად ინგლისს ხვდება. მატჩი კოპენჰაგენში გაიმართება და მორტენ ოლსენმა უკვე შეარჩია სასურველი ფეხბურთელები. საინტერესოა, რომ ინგლისთან სათამაშოდ შეგულებულთა შორის შვიდი მოთამაშეა ისეთი, დანიის ჩემპიონატში რომ ბურთაობს. არადა, აქამდე ოლსენი მეტწილად ლეგიონერებს ეყრდნობოდა.

შეგახსენებთ, რომ დანია 3 სექტემბერს ოფიციალურ მატჩში თურქეთს ხვდება.

ოლსენის საინგლისო სია კი ასეთია:

მეკარეები: *თომას სორენსენი (ასტონ ვილა, ინგლისი), იესპერ კრისტიანსენი (კოპენჰაგენი);*

მცველები: *ბრაიან პრისკე (გენკი, ბელგია), დანიელ აგერი (ბრონდბიუ), იესპერ გრავგორი (კოპენჰაგენი), პერ კროლდრუპი (ევერტონი, ინგლისი), პერ ნილსენი (ბრონდბიუ), თომას ჰელვეგი (მიონხენგლადბახი, გერმანია);*

ნახევარმცველები: *ნიკლას იენსენი (ფულემი, ინგლისი), ალან იეპსენი (ოლბორგი), კრისტიან პოულსენი (შალკე, გერმანია), კლაუს იენსენი (ფულემი, ინგლისი), რასმუს ვურცი (ოლბორგი), თომას გრავესენი (რეალი, ესპანეთი), თომას კალენბერგი (ოსერი, საფრანგეთი), მარტინ იორგენსენი (ფიორენტინა, იტალია), იესპერ გრონკიაერი (შტუტგარტი, გერმანია), დენის რომედალი (ჩარლტონი, ინგლისი);*

თავდამსხმელები: *იონ დალ ტომასონი (შტუტგარტი, გერმანია), კენეტ პერესი (აკლმაარი, ჰოლანდია), მორტენ სკოუბო (ბრონდბიუ, დანია), სორენ ლარსენი (შალკე, გერმანია).*

ქახა შალამბერიძე

უეფას თასის მატჩში თბილისის „დინამოსთან" თავგამოჩენილ ბრონდბიუელ მორტენ სკოუბოს (№19) დანიის ნაკრებში უხმეს



ჩვენს • • თანამშრომელს
ნუკრი ნიქარიძეს
ვულოცავთ
პირველი შვილიშვილის,
ლუკას დაბადებას

სარბიელელები

ვლადიკავკაზის „ალანიას" ქართველმა ნახევარმცველმა დავით კვირკველიამ ტრავმა კი მოიშუშა და მას შემდეგ რუსულ პრემიერლიგაში ორჯერაც ითამაშა, მაგრამ მაინც ეროვნულ გუნდს მიღმა დარჩა — საქართველოს ნაკრების ახალმა მწვრთნელმა გაიოზ დარსაძემ ყაზახეთთან მატჩისთვის კვირკველია არ გამოიძახა...

კვირკველიამ ალანია არ გააგდო
ნაკრები მერე იქნება

— მწვრთნელია და თავისი საქმე თვითონ იცის. ეტყობა, გაიოზ დარსაძემ ამ ეტაპზე საჭიროდ არ ჩათვალა ჩემი გამოძახება — გვითხრა დავით კვირკველიამ, ვისაც ვლადიკავკაზში დავუკავშირდით — ენახოთ, მომავალი მატჩებისთვის ნაკრებში, ალბათ, ჩემი ადგილიც იქნება.

— როგორ ფიქრობ, ტრავმის შემდეგ სათამაშო ფორმა ბოლომდე აღიდგინე?

— ყოველ შემთხვევაში, ორჯერ უკვე ვითამაშე და მწვრთნელიც კმაყოფილი დარჩა.

— ნაკრების ახალ მწვრთნელზე რას იტყვი?

— ბევრს ვერაფერს, რადგან მისი ხელმძღვანელობით არ მითამაშია, მის სამწვრთნელო შეხედულებებზე წარმოდგენა არ მაქვს. ვიცი, რომ ის ადრე 16-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი იყო, ალენ ჟირესს კი მეტოქეებზე ინფორმაციის შეგროვებაში ეხმარებოდა.

— ნაკრებში უცხოელი მწვრთნელი ახლავე დაენიშნათ არ სჯობდა?

— როგორც სჯობდა, ალბათ, ისეთი გადაწყვეტილება მიიღეს. უცხოელი სჯობდა თუ გაიოზ დარსაძე, ამას დრო აჩვენებს.

— „ალანიაში" საქმეები როგორაა, ფინანსური პრობლემები მოგვარდა?

— ნაწილობრივ. ისე კი, უწინდელთან შედარება არაა. გუნდიც ახლა უკეთ თამაშობს.

— ბოლო ორი მატჩი კი ვერ მოიგეთ...

— „ტორპედოსთან" შინ ნაღდი მოსაგები თამაში გვქონდა, მაგრამ არ გაგვიმართლა, მოსკოველებმა მატჩის ბოლოს გაგვითანაბრეს. „შინიკთანაც" უამრავი მომენტი გვქონდა, გოლი კი მასპინძლებმა გაიტანეს და წავაგეთ.

— და ისევ სახიფათო ზონას მიუახლოვდით...

— დარწმუნებული ვარ, „ალანია" პრემიერლიგიდან არ გავარდება. პოტენციით ჩვენ ათეულის გუნდი გვყავს, მაგრამ თამაში ვერა და ვერ ავაწყვეთ, თანაც ფინანსური პრობლემები გვქონდა, გვიჭირდა.

— ახალმა მწვრთნელმა გუნდში რა შეცვალა?

— თითქმის ყველაფერი, ტაქტიკით დაწყებული, საორგანიზაციო საკითხებით დამთავრებული. „ალანია" ახლა უფრო ძლიერია, ვიდრე ერთი თვის წინ.

— თანაც გიორგი დემეტრაძე შემოგემატათ...

— დემეტრაძე ვლადიკავკაზელ ქომაგთა ნამდვილი კერპია. ვერ წარმოიდგენთ, ტრიბუნაზე რა ხდებოდა, როცა პირველსავე მატჩში „დემემ" ორი გოლი გაიტანა. მისი მოსვლით „ალანიამ" თავდამსხმელის პრობლემა, ფაქტობრივად, მოაგვარა და ახლა უფრო მეტის იმედი გვაქვს.

კობა ინასარიძე

შალომ, ლევან!
სილაგაძე ბეითარში გაჩერდა

თბილისის „დინამოს" ყოფილი მცველი ლევან სილაგაძე კარიერას იერუსალიმის „ბეითარში" გააგრძელებს. ეს ამბავი ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის, თუმცა ჩვენი ებრაელი კოლეგების თქმით, ქართველი ფეხბურთელი და კლუბი კონტრაქტს დღეს-ხვალ გააფორმებენ. „ბეითარის" მწვრთნელი აზონ გაი სილაგაძის მომზადების დონით კმაყოფილი დარჩა და კლუბის უფროსობისთვის ფინანსური საკითხების სასწრაფოდ მოგვარება უთხოვია.

სხვათა შორის, იერუსალიმის „ბეითარი" ისრაელში ძალიან პოპულარული კლუბია, მას ყველაზე მეტი ქომაგი ჰყავს.

საინტერესოა, რომ „ბეითარშია" ვინმე დანიელ შემშელიშვილიც, ისრაელის მოქალაქე. ისიც დავძინოთ, რომ იერუსალიმის „ბეითარი" თბილისში ოთხი წლის წინ გახლდათ ჩამოსული, მაშინ ებრაელებმა „ვიტ ჯორჯია" უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე დაამარცხეს — თბილისში „ბეითარმა" 3:0 მოიგო, იერუსალიმში კი 1:1 იყო.

ლევან სილაგაძე თბილისის „დინამოს" წინა ჩემპიონატის დასრულებისთანავე დაშორდა და ბედის საძებრად ისრაელს მიაშურა. რამდენიმე გუნდთან წარუმატებელი მოლაპარაკების შემდეგ კი აგერ, „ბეითარში" გაჩერდა.

ლუკა თალაკვაძე

ნერგაძე წლეულს გამოირიცხა

22 წლის გიორგი ნერგაძე ქუთაისის „ტორპედოდან" თბილისის „დინამოში" ცუდ ფეხზე გადავიდა. გასული სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო საყრდენი ნახევარმცველი დინამოელებს სეზონისწინა შეკრებაზე გაჰყვა, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპებზე ერთი მატჩიც ვერ ითამაშა — ესტონურ „ლევადიასთან" შეხვედრამდე ორი დღით ადრე მუხლი დაიშავა.

ტრავმა ძალიან სერიოზული გამოდგა, ნერგაძე ასევე ტრავმირებულ შოთა კაშიასთან ერთად დღე-დღეზე გერმანიაში გაფრინდება და ოპერაციას გაიკეთებს.

— ექიმებმა დიაგნოზი დამიდგინეს და ველოდებოდი, სანამ ბოლო მონაცემებს მეტყოდნენ. გადაწყდა, რომ საოპერაციო ვარ და გული მწყდება, საკმაო ხანი რომ გამიცდება. წლეულს თითქმის გამორიცხულია ჩემი თამაში, ალბათ, ექვსი თვე მაინც დამჭირდება გამოსაჯანმრთელებლად — გვითხრა გიორგიმ.

ილია ნანობაშვილი

ბათუმის კიდევ ორი და თურქეთი

უცხოელი ინვესტორით წელგამართული „ბათუმი" 13 აგვისტოს თურქეთში ჩავა და იქაურ პირველლიგელ „ხოფასფორს" ამხანაგურად გაეჯიბრება, რის შემდეგაც ბათუმში დაბრუნდება და 16-ში ფოთის „კოლხეთთან" გამართავს ტესტ-მატჩს. ასე რომ, ზღვისპირელები საქართველოს ჩემპიონატში მცირე შესვენებას ნაყოფიერად გამოიყენებენ.



მურთაზ ბურნაძე ბათუმელია

ამირან გოგიტიძის გუნდს სულ მალე ალბათ, ორი ახალწვეული დაემატება, თუმცა მწვრთნელმა გვითხრა, სანამ მოლაპარაკება არ დასრულდება, მანამდე მათ გვარებს ვერ გაგიმხელთო.

შეგახსენებთ, რომ „ბათუმმა" ახლახან შეიმატა 20 წლის ნახევარმცველი მურთაზ ბურნაძე, რომელიც შარშან მოლდოვის „შერიფში" თამაშობდა, ზამთარში კი მისი „ზესტაფონში" ჩარიცხვა თითქმის გადაწყვეტილი იყო...

— არცთუ ცუდი შემადგენლობა გვყავს, მაგრამ რამდენიმე ფეხბურთელი ზედ ჩემპიონატის დაწყების წინა დღეს, 29 ივლისს შემოგვიერთდა. მთავარი საფიქრალი მათი შეთამაშებაა, ფიზიკურადაც ცოტა მოუმზადებლები არიან. „ხოფასფორთან" და „კოლხეთთან" თამაშები ამ პრობლემების მოგვარებაში დაგვეხმარება" — გვითხრა ამირან გოგიტიძემ.

ილია ნანობაშვილი

ძოძუაშვილი ტორპედოში?

დიდი შანსია, ქუთაისის „ტორპედოში" 24 წლის თავდამსხმელი მერაბ ძოძუაშვილი გადავიდეს. ეს ამბავი რამდენიმე დღეში გაირკვევა. პრობლემა ისაა, რომ ძოძუაშვილი აზერბაიჯანული „ბაკის" საკუთრებაა, თუმც ქუთათურებს იმედი აქვთ, რომ ბაქოელები ფეხბურთელს ხელს არ შეუშლიან, მით უმეტეს მაშინ, როცა ძირითად შემადგენლობაში არ ათამაშებენ.

შეგახსენებთ, რომ ძოძუაშვილის „ტორპედოში" გადასვლაზე ორიოდ თვის წინაც იყო ლაპარაკი, თუმცა მაშინ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. რა იქნება ახლა?

ლუკა თალაკვაძე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია თანაუგრძნობს საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარეს ნოდარ კაკულიას
მამის
გარდაცვალების გამო

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა სამძიმარს უცხადებს საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარეს ნოდარ კაკულიას
მამის
გარდაცვალების გამო

სარბიელელები თანაუგრძნობთ საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარეს ნოდარ კაკულიას
მამის
გარდაცვალების გამო

ფეხბურთის კლუბი ამერი უსამძიმრებს საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარეს ნოდარ კაკულიას
მამის
გარდაცვალების გამო

ჩემპიონთა ლიგა 2005-2006
III საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

სამი კაცი გასახდელში

მონაკოელებს ერთადერთი გოლი ედუმ გაუტანა

ანორთოსისი (კვიპროსი) 1:2 **რეინჯერსი** (შოტლანდია)
0:1 ნოვო (64), 0:2 რიკსენი (71), 1:2 რუსუსი (72)
ანორთოსისი: გეორგიალიდესი, ხახი, ლუკა, ჰენდრიქსი, პორსატიდესი (ტსოლაკიდესი 74), მარაგოსი (კონსტანტინუ 83), ძეცბაია, ფრუსოსი, ძინძლაძე, ნიკოლაუ, წიტაიშვილი (კამპანტასი 70)
მწვრთნელი: თემურ ძეცბაია

მანჩესტერი (ინგლისი) 3:0 **დებრეცენი** (უნგრეთი)
1:0 რუნი (7), 2:0 ვან ნისტელროი (49), 3:0 კ. რონალდო (63)

ევერტონი (ინგლისი) 1:2 **ვილიარეალი** (ესპანეთი)
0:1 ლ. ფიგუეროა (27), 1:1 ჯ. ბიტი (42), 1:2 ხოსიკო (45)

ვისლა (პოლონეთი) 3:1 **პანათინაიკოსი** (საბერძნეთი)
0:1 ოლისადებე (4), 1:1 ბროზეკი (12), 2:1 უჩე (52), 3:1 ფრანკოვსკი (70)

ბეტისი (ესპანეთი) 1:0 **მონაკო** (საფრანგეთი)
1:0 ედუ (90)

ვოლერენგა (ნორვეგია) 1:0 **ბრიუგე** (ბელგია)
1:0 ივერსენი (57)

„მანჩესტერ იუნაიტედის“ პირველი საამსეზონო ევროგოლი უეინ რუნიმ გაითორმა. გარდა ამისა, მან ორი საგოლე პასიც მოითვალა — რუუდ ვან ნისტელროი და კრისტიანო რონალდო დაასახუკრა. ხოლ ჯოელ, ავი და ბრაიან გლეიზერები თამაშის შემდეგ გასახდელში ფეხბურთელებს ესტუმრნენ და გამარჯვება მიულოცეს.

უეინ რუნიმ გლეიზერები მეშვიდე წუთზე წამოყარა სკამიდან — „დებრეცენის“ მეკარეს დაბალ კუთხეში გაუტანა. მეორე ტაიმის დასაწყისში პეტერ ჰალმოშიმ გაათანაბრა, მაგრამ ლუის მედინა კანტალეხომ არ ჩაუთვალა, მანამდე გარი ნევილის ეუხეშაო. არბიტრს არაფერი ჰქონდა სადავო რუუდ ვან ნისტელროისთან, რომელმაც სამიოდ წუთის შემდეგ ანგარიშში სხვაობა ორამდე გაზარდა, ხოლო კრისტიანო რონალდომ მალე მესამე გოლი მიაყოლა.

ალექს ფერგუსონმა ნამატჩევს სამივე ფეხბურთელი აქო. რუუდ ვან ნისტელროიზე კი ოქვა, ძველებურად კარგ ფორმაშია და ამ სეზონში 30 გოლი მაინც უნდა გაიტანოსო.

„ევერტონის“ დებრუნება ევროთასებზე მარცხიანი გამოდგა. „ლურჯებმა“ „ვილიარეალს“ ევერტონული ფეხბურთით ვერ აჯობეს. მთელი მატჩის განმავლობაში ფლანგები „დახნეს“, ბურთი საჯარიმოში გზავნეს და მხოლოდ ერთ გოლს გამორჩნენ.

„ვილიარეალი“ ლუსიანო ფიგუეროას წყალობით დაწინაურდა, რომელმაც დევიდ ვეირს დაასწრო და სენას ჩაწოდებული ბურთი მასპინძელთა კარში შეაბრძანა. ფიგუეროას, მეტსახელად „ლუჩო“ ჰქვია. მას მალე კიდევ შეეძლო გატანა. ნაიჯელ მარტინთან პირისპირ გავიდა, დარტყმის ნაცვლად წაიმსახობა, წაიქცა და პენალტს ითხოვდა, რის გამოც ყვითელი ბარათი მიიღო.

პირველი ტაიმის მიწურულს ჯეიმს ბიტიმ გაათანაბრა. თავით დაიგდო ბურთი და თვითონვე საგოლედ ფეხიც მიაყოლა. „ევერტონის“ სიხარული სამ წუთს გაგრძელდა. ხუან პაბლო სორინის „გზავნილს“ ხოსიკომ თავი დაჰკრა და 1:2.

შესვენების შემდეგ „ვილიარეალის“ კართან ბევრი კუთხური ჩაწოდეს, მაგრამ „ლურჯებმა“ ამით ვერ იხეირეს. თამაშის ბოლოს მარკუს ბენტს ჰქონდა კარგი შანსი. ის სტუმართა მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ უეხი აერია და მომენტი ჩააფლავა.

„ევერტონის“ მწვრთნელმა დევიდ მოიესმა ნამატჩევს განაცხადა: „ვილიარეალის“ მეორე გოლმა ჩემი გუნდი არია და თამაში ვეღარ დავალაგეთ, მიუხედავად ამისა, ესპანეთში მოგებას შევეცდებით. მათ აქ თუ გაგვიტანეს ორი გოლი, იგივეს გაკეთება სტუმრად ჩვენც შეგვიძლია“.

„პანათინაიკოსის“ ლეგიონერმა, გაპოლონებულმა ემანუელ ოლისადებემ კრაკოვში „ვისლას“ მეოთხე წუთზე გაუტანა — ხარიხიდან ასხლეტილი ბურთი კარში შეაბრუნა. ათიოდ წუთის შემდეგ „ვისლამ“ იმავე ოლისადებეს შეცდომით იხეირა, რომელსაც მასპინძელთა საჯარიმოში ბურთი რადოსლავ სობოლევსკიმ წაართვა.ამ უკანასკნელის პასით პაველ ბროზეკი „პანას“ საჯარიმოში შეენთო და ორსვლიანი კომბინაცია გოლით დაასრულა.

მეორე ტაიმში „ვისლა“ კალუ უჩემ დაწინაურა, მაგრამ გეკასს უმალ გათანაბრება შეეძლო. მეკარე რადოსლავ მაიდანის ზურგსუკან ჩასაფრებულმა გეკასმა თავში ხელი იტაცა, როცა ნახა, რომ მისი დარტყმული ბურთი ცარიელ კარს ასცდა.

მალევე „ვისლას“ მესამე გოლი გამოცხვა. მარეკ ზიმჩუკმა გვერდით ხაზზე ირბინა, მერე კი საჯარიმოში ჩააწოდა ბურთი, რომელსაც ტომაშ ფრანკოვსკის თავი დახვდა — 3:1.

სევილიაში „ბეტისი“ — „მონაკოს“ მატჩში, „თელასი“ ჩაერია და დაწყებიდან თხუთმეტი წუთის განმავლობაში სტადიონზე შუქი რამდენჯერმე ჩაქრა. პრობლემა რომ მოგვარდა, მერე გუნდებმა კარგი ფეხბურთი გააჩაღეს. ერთხელ ფერნანდომ, ორჯერ კი მარკუს ასუნსაომ „მონაკოს“ კარის ჩარჩო შეატოკეს. ბეტისელებს თავის მხრივ ორჯერ მოუწიათ კარის ხაზიდან ბურთის გამოძრობა, ხოლო თამაშის ბოლო წუთზე ედუმ კარგად დამიზნება შეძლო და მასპინძელთა გამარჯვებისა გაიტანა.

„ვოლერენგამ“, რომელიც ამ ზაფხულს ტორე ანდრე ფლოთი გაძლიერდა, ბელგიის ჩემპიონის დამარცხება შეძლო. „ბრიუგემ“ პირველი ტაიმის დასაწყისში გამოიჩინა ფხა, მერე კი ნორვეგიელებმა იძალეს, თუმც მხოლოდ ერთის გატანა მოახერხეს. სტეფან ივერსენმა მეორე ნახევრის დასაწყისში ვიოლერის პასით იხეირა, თვითონ ვიოლერმა კი მოგვიანებით „ბრიუგეს“ კარის ხარიხა შეაზანზარა.

ვაჟა ხუციშვილი



ჯოელ, ავი და ბრაიან გლეიზერები

ინტერტოტოს თასი 2005
ფინალი. პირველი მატჩები

სერგი ბარბარესმა გოლიც გაიტანა და წითელი ბარათიც მიიღო

ჰამბურგი (გერმანია) 1:0 **ვალენსია** (ესპანეთი)
1:0 ბარბარესი (51)
გაძევება: ბარბარესი (85, ჰამბურგი)

დეპორტივო (ესპანეთი) 2:0 **მარსელი** (საფრანგეთი)
1:0 მარტინი (67), 2:0 კარილი (87)

კლუჟი (რუმინეთი) 1:1 **ლანსი** (საფრანგეთი)
0:1 ლაშუერი (24), 1:1 ტურკუ (57)
გაძევება: ლეროი (83, ლანსი)

ივან პირველი

უკვე ზედიზედ ოთხი მატჩია, „ჰამბურგს“ გოლი არ გაუშვია. ინტერტოტოზე „სიგმასთან“ ორივე შეხვედრაში, ბუნდესლიგაში „ნიურნბერგთან“, ახლა კი „ვალენსიასთან“ თომას დოლის გუნდმა კარი „მშრალად“ შეინახა. ოთხივე შეხვედრაში ბრწყინვალედ ითამაშა ჰამბურგელთა ჰოლანდიელმა რაფაელ ვან დერ ვაარტმა. სწორედ მისი პასით გაუტანა ბარბარესმა „ვალენსიას“ თუმც ბოსნიელი ფეხბურთელი, რომელიც „ჰამბურგს“ კაპიტნობდა, თამაშის ბოლოს გააძევეს.

პირველ ტაიმში ერთადერთი ნაღდი საგოლე მომენტი სტუმართა კართან 32-ე წუთზე შეიქმნა. დავიდ იაროლიმის დარტყმული კანისარესმა სასწაულებრივ მოიგერია.

შესვენების შემდეგ, ბარბარესის გოლის მერე, „ვალენსია“ გათანაბრებას ამაოდ ეცადა, რადგან „ჰამბურგის“ დაცვა ყოჩაღად იდგა.

„მარსელთან“ მატჩში 20 წლის ივან კარილმა შეცვლაზე შესვლიდან ოთხ წუთში „დეპორტივოს“, მაისურით პირველი გოლი გაიტანა. მანამდე კი რუბენ კასტრომ ალბერტ ლუკეს პასით დააწინაურა ლაკორუნიელები.

ფრანგები პირველი ტაიმის განმავლობაში თავს იცავდნენ და კონტრშეტევაზეც არაფერი გამოსდიოდათ მათ მხოლოდ კასტროს გოლის შემდეგ იკადრეს მეტოქის საჯარიმოსთან მიახლოება, მაგრამ ივან კარილმა სტუმრების ტეცხლი მალევე გაანელა. აქვე ვთქვათ, რომ „მარსელმა“ უკვე მესამე მატჩი წააგო ასეთი ანგარიშით. ორჯერ შინა ჩემპიონატში, ახლა კი ინტერტოტოზე.

ნამატჩევს დამარცხებულთა მწვრთნელმა ჟან ფერნანდესმა თქვა: „პირველ ტაიმში დაცვაში უშეცდომოდ ვითამაშეთ, მაგრამ მეორე ნახევარში გუნდი აირია. ახლა ისღა დაგვრჩენია, საპასუხო მატჩში შევუტიოთ და ვფიქრობ, „დეპორტივოს“ ძალიან მძიმე ბრძოლა ელის. „მარსელს“ შეეძლო რომ შეუძლია, „ლაციოსთან“ მოგებულ (3:0) შეხვედრაშიც დაამტკიცა“.

„კლუჟმა“ ლანსელებს თავიდანვე თავბრუ დაახვია, მაგრამ საგოლე მომენტები ვერ გამოიყენა. სამაგიეროდ, სტუმრებმა ტაიმის შუაში იხეირეს — იან ლაშუერმა საჯარიმო კარგად შეასრულა და ფრანგები დააწინაურა. შესვენებამდე „ლანსის“ მეკარე შარლ იტანჟემ „კლუჟის“ ფორვარდი წააქცია. რუმინელები პენალტს ითხოვდნენ, მაგრამ პოლონელმა მსაჯმა არ დაუსტვინა.

მეორე ტაიმში ტურჩუმ ლაშუერის საჯარიმოს მსგავსი გაიტანა და გაათანაბრა. ამის შემდეგ „ლანსის“ მწვრთნელმა მოედანზე ჟერომ ლერუა შეუშვა, რომელსაც თამაში მალე მოსწყინდა, მეტოქეს ეუხეშა და გააძევეს.

ვაჟა ხუციშვილი



ივან კარილი

ზიზუ ნაკრებში ღამეულმა ძმამ დააბრუნა

ზინედინ ზიდანმა იმ „მითიური" კაცის ვინაობა დაასახელა, რომელმაც ფრანგთა სახელგანთქმულ ფეხბურთელს ნაკრებში დაბრუნება გადააწყვეტინა.

შეგახსენებთ, რომ ზიზუ რაღაც ბუნდოვან, მისტიკურ მიზეზებზე ლაპარაკობდა — ღამის სამის ნახევარზე მავანი უცნობი გამომეცხადა, ნაკრებში დაბრუნება შთამაგონა და მერე ისე გაქრა, თვალის დახამხამება ვერ მოვასწარიო.

ცხადია, „ფრანს ფუტბოლში" გამოქვეყნებულ სენსაციურ ინტერვიუს უდიდესი მითქმა-მოთქმა მოჰყვა და როცა მსოფლიოს სპორტულმა მედიამ უკვე არამიწიერ და ფეხბურთელის ფანატ სულებზე დაიწყო ლაპარაკი, ზიზუმ აილო და საკუთარ ძმას დაადო ხელი.

„ადრე ინტერვიუში ვთქვი და ახლაც ვამბობ, იმ პიროვნების დასახელება არ მინდოდა, თუმცა რადგან გამუდმებული შეკითხვებით თავს არ მანებებთ, გაგიმხელთ, რომ ღამით ჩემს ოთახში შემოსული კაცი ჩემი ძმა გახლდათ. მან მირჩია, ნაკრებში დავბრუნებულიყავი და მეც დავუჯერე, ეს არის და ეს" — უთხრა ზიდანმა სამშაბათს საგანგებოდ მოწვეულ ჟურნალისტებს...

ლადო ხომერიკი

დევიდ ბექჰემმა ქრიამულს უმატა

ბექჰემის ქალები და საკონტრაქტო იდილია

დევიდ ბექჰემი მადრიდში თავს დიდებულად გრძნობს. შეძლებისდაგვარად დააკვირდით შვედურ ჟურნალ „აფტონბლადეტში" გამოქვეყნებულ ფოტოს და თავად დარწმუნდებით — ინგლისელი რესტორანში სავახშმოდ მეუღლე ვიქტორიასთან ერთად იმყოფება და მოპირდაპირედ მჯდომ ქერა გოგოს მაგიდის ქვეშ უჩუმრად უსვამს შიშველა ფეხს ფეხზე...

მას შემდეგ, რაც თავიდან სამეფო გუნდის ცენტრში შეცდომით გამწესებულ ინგლისელს ბოლოს და ბოლოს ჩვეულ პოზიციაზე, ანუ მინდვრის მარჯვენა ფლანგზე მოუძებნეს ადგილი, ალბიონელმა ვარსკვლავმა შვებით ამოისუნთქა, ქერა ლამაზმანებისკენაც გაიხედა და „რეალთან" კონტრაქტის განახლებაზეც დაიწყო ფიქრი. ინგლისური და ესპანური გაზეთების მიხედვით, დევიდსა და მადრიდულ გრანდის თავკაცებს სურთ, დღევანდელი იდილია 2009 წლამდე გაგრძელდეს.

„ბექჰემმა თავისი კარიერის მადრიდში დასრულების სურვილი გამოთქვა და „რეალიც" ფეხბურთელთან თანამშრომლობას სიამოვნებით გააგრძელებს" — აღნიშნა „მარკასთან" საუბარში სიმონ ოლივერამ, ინგლისელი გალაქტიკოსის წარმომადგენელმა.

თქმა არ უნდა, ალბიონელთა ნაკრების კაპიტანი მადრიდელთათვის უზარმაზარი შემოსავლის წყაროა და „რეალიც" დევიდის დათმობას არ აპირებს.

მადრიდელებმა უკვე იმდენი „ბექჰემიანი" მაისურა გაიყიდეს, რომ კლუბის პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი ნიჭიერ და ამავდროულად ძვირფას მოთამაშესთან კონტრაქტის გაგრძელებას უყოყმანოდ დასთანხმდება. მანამდე კი რესტორანი, მაგიდისქვეშა ინტიმი და „აფტონბლადეტის" ფარული სამიზნე...

ლადო ხომერიკი

ტრილერი პესკარაში
კასანო კაპელომაც უარყო

ფაბიო კაპელო და ალესანდრო დელ პიერო

სამშაბათს საღამოს „იუვენტუსმა" და „რომამ" პესკარაში ამხანაგური მატჩი გამართეს. ამ კლუბების შეხვედრა ყოველთვის დაძაბული და განსაკუთრებულია. გამონაკლისი არც ამჯერად მოხდა. შეხვედრა საკმაოდ სანახაობრივი და უხვგოლიანი გამოდგა — 2:2.

ტურინელთა თავკაცმა ფაბიო კაპელომ ამჯერად ალექს დელ პიერო ძირითად შემადგენლობაში დააყენა და სხვაგვარი ტაქტიკით ითამაშა. „იუვეს" კაპიტანმა ნდობა გაამართლა და ანგარიშში მშვენიერი შორეული დარტყმით გახსნა.

ფორმაში იყო რომაელთა კაპიტანი ფრანჩესკო ტოტიც. მან ჯერ კრისტიან კიეუს გაუწია ასისტენტობა, შემდეგ კი რიგრიგით ტაცეის და დელდაქილატცელები წინ გაიყვანეს. თუმცა იმავე დელ პიერომ თავისი წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გაიტანა და შეხვედრას წერტილი დაუსვა.

„ჩვენ კვლავ ლატერიოთული ვარჯიშის შემდეგ ვითამაშეთ და საკმაოდ კმაყოფილი ვარ — თქვა ფაბიო კაპელომ — რამდენიმე ფეხბურთელი უკვე კარგ ფორმაშია. დარწმუნებული ვარ, სეზონის დაწყებამდე ყველა მზად იქნება".

„მიხარია, რომ გუნდურად ვითამაშეთ და ბოლომდე ვიბრძოლეთ, თანაც ასეთ ძლიერ მეტოქესთან. ყველაფერი კარგად მიდის. სეზონის დაწყებამდე შეიძლება რამდენიმე მოთამაშე დავიმატოთ, რაც უფრო გაგვაძლიერებს" — თქვა „რომას" მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ.

ბოლოს ისევ კაპელოს დავუბრუნდეთ, რომელმაც ასევე გამორიცხა ანტონიო კასანოს „იუვეში" გადასვლა: „იგი „რომაში" ბედნიერია და კლუბის ერთ-ერთი ლიდერია. არა მგონია, რამე შეიცვალოს".

გიორგი ძაძამაძე

გვარდიოლა სიტის ორბიტაზე



34 წლის კატალონიელი ვეტერანი პეპ გვარდიოლა მალე ალბათ ალბიონურ „მანჩესტერ სიტიში" ითამაშებს.

ინგლისური მედიის ცნობით, „ბარსელონას" ლეგენდა მანჩესტერში ჩავიდა და იქაურთა მწვრთნელ სტიუარტ პირსს თავის სამომავლო გეგმებზე მოელაპარაკა. თუ დაინტერესებული მხარეები ერთმანეთთან შეთანხმდნენ, გვარდიოლა ახალ, ამჟამად უკვე ინგლისურ საფეხბურთო თავგადასავალს წამოიწყებს.

შეგახსენებთ, რომ ნახევარმცველმა „ბარსაში" 17 წელი იბურთავა, 2001 წლის ივნისში კი გადაწყვიტა, იტალიურ „ბრეშაში" გადასულიყო. იქ ერთწლიანი ლაზათიანი თამაშის შემდეგ „რომას" მიაშურა, მაგრამ რადგან რომაელთა მაშინდელ მწვრთნელ ფაბიო კაპელოსთან ურთიერთობა ვერააწყო, ისევ „ბრეშაში" დაბრუნდა, სადაც დიდი ხალისით შეეგებნენ. 2002 წლის ცნობილი „დოპინგის სკანდალის" მერე გვარდიოლას იტალიურ კარიერას წერტილი დაესვა და კატალონიელიც თავს ყატარის ლიგას აფარებს. მსოფლიოს საფეხბურთო ელიტას ნაზიარებ ვეტერანს არაბულ სუსტ ლიგაში ყოფნა, ცხადია, მალე მოსწყინდებოდა და პეპმაც „რიველ პლეიტთან" უშედეგო მოლაპარაკების შემდეგ სტიუარტ პირსის „სიტისთან" მოსინჯა ბედი.

ლადო ხომერიკი

არსენალი ანრის ელოდება
ჟილბერტო — არსენალს



ტიერი ანრი

ლონდონის „არსენალს" გუნდის ლიდერ და კაპიტან ტიერი ანრისთან ახალი, გრძელვადიანი კონტრაქტის გაფორმება უნდა. „მეთოფეებში" დარჩენის სურვილი ზაფხულის დასაწყისში თავად ფეხბურთელმაც გამოთქვა. ალბათ მოლაპარაკებები იმ კვირაში დაიწყება.

„ტიერი ძალიან დაკავებული იყო არდადეგების პერიოდში. მას პატარა ქალიშვილი ჰყავს და ოჯახს დიდ ყურადღებას უთმობს. ცხადია, ამას გაგებით მოვეკიდეთ და მოლაპარაკება გადავდეთ, თუმცა ახალ კონტრაქტზე მალე ვისაუბრებთ და მჯერა, შევთანხმდებით კიდეც" — თქვა ლონდონელთა თავკაცმა არსენ ვენგერმა.

თუ ანრის მოლაპარაკებებისთვის არ სცალია, კლუბთან ახალ კონტრაქტზე საუბრის წამოწყება ძალიან უნდა ჟილბერტო სილვას. ბრაზილიელი ნახევარმცველი სერიოზული ტრავმის შემდეგ ნელ-ნელა იბრუნებს ფორმას და ქომაგებს პპირდება, გასულ უიღბლო სეზონს წარმატებულით შევცვლიო.

ჟილბერტო: „მოქმედ შეთანხმებას 2008 წლის აგვისტოში გასდის ვადა. მინდა, „არსენალთან" კიდევ უფრო ხანგრძლივი კონტრაქტი გავაფორმო. აქ ძალიან ბედნიერი ვარ და ვფიქრობ, უკვე შევძელი გუნდში ჩემი ადგილის დამკვიდრება. იმედია, მოვილაპარაკებთ".

აქვე ვთქვათ, რომ ჟირონდაველი გოლკიპერი სებასტიან ფიერა შესაძლოა, „არსენალში" აღარ გადავიდეს. გავრცელებული ცნობით, „ნასიონალის" კარის დარაჯმა სამედიცინო შემოწმება ჩააგდო, მაგრამ ლონდონელებს ჯერ ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებიათ.

გიორგი ძაძამაძე

დასასრული. დასაწყისი გუშინდელ „სარბიელში“

...და ან ცაზე ვარსკვლავები

ხოსე ლეანდრო ანდრადე

შავი საოცრება

მისთვის ფეხბურთი მუსიკა იყო

ალბათ ყველა ჩვენგანს მოუსმენია, წაუკითხავს თუ უნახავს ამბავი 1930 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე. მოგეხსენებათ, მასში ურუგვაის ბრწყინვალე ნაკრებმა იმარჯვა, რომლის რიგებშიც მრავალი დიდებული მოთამაშე გამოდიოდა. განსაკუთრებით კი ერთ-ერთი მათგანი გამოირჩეოდა და იგი საბოლოოდ ტურნირის საუკეთესო მოთამაშედაც აღიარეს. გაინტერესებთ ვინ იყო ხოსე ლეანდრო ანდრადე? შევეცდებით, თქვენი ცნობისმოყვარეობა დავაკმაყოფილოთ.

იგი ერთ-ერთი პირველი ფეხბურთელია, რომელიც ნამდვილ ლეგენდად სიცოცხლეშივე იქცა. ეს კი მნიშვნელოვნად განაპირობა ზემოხსენებულ 1930 წლის მუნდიალზე ურუგვაელთა ტრიუმფმა და იმდროინდელი ვითარების მიუხედავად, შავკანიანი ანდრადეს მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებამ.

მოთქმაც, რომელსაც ვინმეს მონაცემების შესაქებად ხმარობენ — „ის ბრაზილიელივით თამაშობს“ — სწორედ იმ დროიდან მოდის, ოღონდ მაშინ „დედანში“ ამბობდნენ: ის ურუგვაელივით თამაშობს.

1930 წელს ურუგვაი დაარსების ასი წლისთავს აღნიშნავდა და ფიფას მაშინდელმა პრეზიდენტმა ჟიულ რიმემაც სწორედ ამ ფაქტით ისარგებლა და საბოლოოდ დაითანხმა 13 ქვეყანა პირველი მსოფლიოს ჩემპიონატის ურუგვაიში ჩატარებაზე.

ევროპული ქვეყნების უმეტესობამ ასე შორს გამგზავრებას და



სხვადასხვა სახის სირთულეებს თავის აარიდა და ტურნირში მონაწილეობაზე უარი თქვა, მაგრამ რიმეს დიდი ხნის წინ მიღებული გადაწყვეტილება (იგი საიდუმლოდ რამდენიმე წლით ადრე უკვე მოლაპარაკებული იყო ურუგვაის მმართველებთან) არ შეუცვლია. თუმცა ეს ყველაფერი სრულებითაც არ აკნინებს ანდრადესა და მის თვისტომთა წარმატებას.

ჯგუფურ ეტაპზე მასპინძლებს არც ისე ძლიერი მეტოქეები შეხვდათ. 18 ივლისს, ურუგვაის რესპუბლიკის დაარსების დღეს, ახალაშენებულ „სენტენაროზე“ ანდრადემ და კომპანიამ კასტროს ერთადერთი გოლით მოუგეს პერუს, ხოლო მეორე შეხვედრაში შანსი არ დაუტოვეს რუმინეთს 4:0 (დორადო, სკარონე, ანსელმო, ჩეა). ანდრადე ორივე თამაშში შესანიშნავად გაისარჯა და გულშემატკივრების დიდი მოწონება დაიმსახურა.

ნახევარფინალში მასპინძლებს ძველი ნაცნობი იუგოსლავია შეხვდათ. ევროპელებს უკეთესი დღე არც ამჯერად დაადგათ. მართალია, 4-ე წუთზე სეკულიჩმა ისინი დააწინაურა, მაგრამ მე-18 წუთზე ჩეასა და მე-20 წუთზე ანსელმოს გოლებით წყალობით უკვე ურუგვაი გავიდა წინ. 31-ე წუთზე ანსელმომ დუბლი შეასრულა და ტაიმიც 3:1 დამთავრდა. მე-60 წუთზე ირიარტემაც გამოიჩინა თავი. ხოლო 67-ე და 72-ე წუთებზე ჩეამ კიდევ ორჯერ იხეირა და წერტილი დაუსვა სერბთა განადგურებას. საინტერესოა, რომ მეორე ნახევარფინალურ მატჩში ურუგვაელთა მეორე „ძველმა ნაცნობმა“ არგენტინამ ასეთივე ანგარიშით, 6:1 დაამარცხა აშშ.

ფინალი უხვგოლიანი, დაძაბული და ლამაზი გამოდგა. მე-12 წუთზე დორადომ ანგარიში გახსნა და თითქმის მთლიანად შევსებული 80 ათასიანი „სენტენარიო“ აღფრთოვანა. თუმცა მასპინძლებს გუნება მალე შეეცვალათ. მე-20 წუთზე ჰესელმა წონასწორობა აღადგინა, ხოლო 37-ე წუთზე ტურნირის საუკეთესო ბომბარდირ გილერმო სტაბილეს ჯერიც დადგა და არგენტინამ პირველი ტაიმი 2:1 მოიგო. მეორე ნახევარი მთლიანად ურუგვაელების უპირატესობით ჩატარდა და ლოგიკურადაც დასრულდა. 58-ე წუთზე ჩეამ გაიტანა, ათ წუთში ირიარტემაც იხეირა, ხოლო მატჩის მიწურულს კასტრომ შეხვედრის საბოლოო ანგარიში 4:2 დააფიქსირა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ნახევარში გუნდები არგენტინელთა ბურთით თამაშობდნენ, ხოლო მეორეში ურუგვაელების.

მუნდიალის ბოლო ორი მატჩი ანდრადემ მართლაც ჩინებულად ჩაატარა (განსაკუთრებით ნახევარფინალი) და უპირობოდ აღიარეს პირველი მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად. სწორედ ეს შეხვედრები გახლდათ „შავი საოცრების“ [illegible] გაბრწყინება, ამიტომ [illegible] კარიერა დასასრულისაკენ წავიდა.

ამას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი 1932 წელს ურუგვაიში ოფიციალურად დაკანონებულმა პროფესიულმა ფეხბურთმა, რომელიც დადგენილ ვარჯიშებზე დასწრებას და მაქსიმალურ წესრიგს მოითხოვდა. ანდრადე კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უდისციპლინო გახლდათ.

ახლა რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, 1932 წელს მის მაშინდელ კლუბ „პენიაროლს“ 36 (ესეც შედარებით ბევრი იყო) ოფიციალური შეკრება ჰქონდა დანიშნული. აქედან ანდრადე მხოლოდ ოქტეტმეტს დაესწრო. დანარჩენი ვარჯიშების უმეტესობა კი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გააცდინა. ამის გამო იგი ძირითადი შემადგენლობიდან ამოვარდა და საბოლოოდ სხვაგან გადასვლა გადაწყვიტა, თუმც არც ამან გაამართლა და ერთ სეზონში რამდენიმე გუნდის გამოცვლის შემდეგ 1933 წელს კარიერა დაასრულა.

მან კარიერის მანძილზე დაახლოებით 800 მატჩი ჩაატარა და 300 გოლი გაიტანა. აქედან ეროვნულ ნაკრებზე მხოლოდ 33 შეხვედრა და 1 ბურთი მოდის.

ანდრადეს პირადი ცხოვრებიდან მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ მას ორი ცოლი ჰყავდა. საფამაშო კარიერის პერიოდში იძულებული იყო, დამატებით შემოსავალი ცეკვითა და მუსიკით ეშოვა, რადგანაც მაშინ მისნაირ მოთამაშეებსაც კი ძალიან დაბალი ხელფასი ჰქონდათ. იგი ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ გარკვეული პერიოდი იგივე საქმიანობას ეწეოდა, ხოლო შემდეგ ნელ-ნელა დაახლოებით 20 წლით გაქრა ხალხის თვალთახედვიდან.

„ფეხბურთის მუსიკოსი“ ყველას 1957 წლის მიწურულს გაახსენდა, როდესაც ცნობილი გახდა, რომ 1 ოქტომბერს მონტევიდეოს ერთ-ერთ ღარიბთა თავშესაფარში ჭლექით გარდაიცვალა ლეგენდარული ფეხბურთელი ხოსე ლეანდრო ანდრადე.

მან ისეთივე სიღარიბეში დაასრულა სიცოცხლე, როგორშიც დაიბადა და ბავშვობა გაატარა. საფეხბურთო კარიერა კი მისი ცხოვრების მოკლე და ზღაპრული მონაკვეთი იყო, რომელმაც ისტორიას და გულშემატკივრებს „შავი საოცრება“ და „ფეხბურთის მუსიკოსი“ აჩუქა.

ფიფას მიერ დასახელებულ XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელებს შორის ანდრადე 29-ე ადგილზეა და საუკეთესო ურუგვაელ ფეხბურთელად არის მიჩნეული მასთან ყველაზე ახლოს: მე-40 ადგილზე, იმ თაობის კიდევ ერთი შესანიშნავი წარმომადგენელი ექტორ სკარონეა.

ბოლოს კი უნდა აღინიშნოს, რომ მას შემდეგ ურუგვაიმ კიდევ ერთხელ შეძლო უდიდესი წარმატების მიღწევა, როდესაც 1950 წელს მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. საინტერესო კი ის არის, რომ იმ გუნდში ზუსტად ხოსე ლეანდროს პოზიციაზე, მარჯვენა ნახევარმცველად თამაშობდა მისი ნათესავი ვიქტორ როდრიგეს ანდრადე.

გიორგი კაკაბაძე

ნუ იგინები, კარლიტო

ტევესს მსაჯის გინებას არ შეარგებენ

ბრაზილიის ჩემპიონატის ერთიმეორეწაგული ლიდერი „კორინთიანსი" თავის არგენტინელ ვარსკვლავ კარლოს ტევესს ალბათ მინიმუმ 6 მატჩით მოუსაკლისებს. საქმე ის გახლავთ, რომ კვირას „სან კაეტანოსთან" მძიმე შეხვედრის დროს (ის მატჩი ტევესის გუნდმა 2:0 წააგო) კარლიტომ მსაჯ ანსელმო და კოშტას მკვდარი და ცოცხალი უხამსად უხსენა, რის გამოც მინდერიდან მიაბრძანეს.

„რა უბედურებაა, მოედანზე მომხდარი ინციდენტების გამო მარტო ფეხბურთელებს აჯარიმებენ ხოლმე. არადა, ჩემს შემოხვევაში ბუნტისთავი სწორედ არბიტრი იყო. და კოშტასთან ერთ-ერთი საათამაშო ეპიზოდის გასარკვევად მივედი, მან კი უეცრად უწმაწურად შემაგინა... მეც ხელდა დაუბრუნე, მინდა, გითხრათ, რომ ანსელმო და კოშტასნაირი ცუდი მსაჯი რაც ბრაზილიაში ჩამოსული, პირველად ვნახე" — განაცხადა ტევესმა გუშინ ადგილობრივი რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში.

„ცუდმა ანსელმომ" კი, რა თქმა უნდა, კარლიტოს საქციელი საფაც ჯერ არს მოახსენა და ბრაზილიის ფეხბურთის მრისხანე ასოციაციამაც „აპრეს" ჯარიმა აპკიდა — ტევესს 10 აგვისტოს „ინტერნასიონალთან" შეხვედრა გამოატოვებინეს. ეს კიდევ რაა, როგორც იქაურ მედიაში აცხადებენ, კარლიტოს საქმე შეიძლება კიდევ დამძიმდეს და არგენტინელს 6 მატჩის განმავლობაში მოუწიოს ტრიბუნაზე ყურყუტი.

„ასე არ შეიძლება. ფედერაცია ჩემს ფეხბურთელს ზედმეტად მკაცრად ექცევა, რითაც „კორინთიანსი" ზარალობს. მე თუ მკითხავთ, კარლიტოს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციაც ეყოფა, თანაც როგორც თავად თქვა, მომხდარში მსაჯი ყოფილა დამნაშავე" — დაიცვა საკუთარი შეგირდი მარსიო ბეტანკურმა, „კორინთიანსის" მწვრთნელმა.

ლადო ხოფერია

საუკეთესო საუკეთესოთა შორის

პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციამ იმ 55 ფეხბურთელის სია გამოაქვეყნა, რომელთაგანაც საუკეთესოებს სექტემბერში შეარჩევენ. ეს ძალიან გრძელი დასახელების ორგანიზაცია საკმაოდ საინტერესო გამოკითხვას ატარებს, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულად და საპატიოდ მოიაზრება.

ფაქტობრივად უკვე დაიკითხა 38 ათასი ფეხბურთელი და ახლა შედეგები ჯამდება. დაჯილდოების ცერემონია 19 სექტემბერს უემბლის კონფედერაციათა და გამოფენათა ცენტრში გაიმართება.

ლაურეატთა შორის ყველაზე მეტი წარმომადგენელი „მილანსა" და „ჩელსის" ჰყავთ. მათ ოდნავ ჩამორჩება „იუვენტუსი". ქვეყნების მხრივ ინგლისია წინ, რომელიც 10 მოთამაშითაა წარმოდგენილი. მას ბრაზილია და იტალია მისდევენ. ხოლო რაც შეეხება ლიგებს, 20 ფეხბურთელით სერია A ლიდერობს, რომელსაც პრემიერლიგა მიჰყვება.

გთავაზობთ 55 ლაურეატის სიას.

მეკარეები: ჯანლუიჯი ბუფონი (იტალია, „იუვენტუსი"), პეტერ ჩეხი (ჩეხეთი, „ჩელსი"), ნელსონ დიდა (ბრაზილია, „მილანი"), ოლივერ კანი (გერმანია, „ბაიერნი"), იკერ კასილიასი (ესპანეთი, „რეალი");

მცველები: ალექსი (ბრაზილია, პსვ), რობერტო აიალა (არგენტინა, „ვალენსია"), კაფუ (ბრაზილია, „მილანი"), სოლ კემპბელი (ინგლისი, „არსენალი"), ფაბიო კანავარო (იტალია, „იუვენტუსი"), რობერტო კარლოსი (ბრაზილია, ესპანეთი), რიკარდო კარვალიუ (პორტუგალია, „ჩელსი"), ეშლი კოული (ინგლისი, „არსენალი"), რიო ფერდინანდი (ინგლისი, „მანჩესტერი"), გაბრიელ პაინცე (არგენტინა, „მანჩესტერი"), ლუსიო მალდინი (იტალია, „მილანი"), ალესანდრო წესტა (იტალია, „მილანი"), კარლეს პუიოლი (ესპანეთი, „ბარსელონა"), ვალტერ სამუელი (არგენტინა, „ინტერი"), იაპ სტამი (ჰოლანდია, „მილანი"), ჯონ ტერი (ინგლისი, „ჩელსი"), ლილიან ტურამი (საფრანგეთი, „იუვენტუსი"), ჯანლუკა ძამბროტა (იტალია, „იუვენტუსი"), ხავიერ ძანეტი (არგენტინა, „ინტერი");

ნახევარმცველები: მიხაელ ბალაკი (გერმანია, „ბაიერნი"), დეივიდ ბექემი (ინგლისი, „რეალი"), ჯო კოული (ინგლისი, „ჩელსი"), დე

მე ყველას ვაჩვენე

(დასაწყისი ფურცლებზე №144, №152, №158, №164, №170, №176 „სარბელი")

მიუნხენში ყველამ იცოდა, რომ ლოთარ მათეუსს სპორტულ ჟურნალ-გაზეთებთან ტკბილი ურთიერთობა ჰქონდა. ვერ დავიჯერებ, მაგრამ ეეჭვობ — მათეუსი „ბაიერნის" „სამხარეულოში" მომხდარ ამბებს ჟურნალისტებს უკაკლავდა, სანაცვლოდ კი ყოველი მატჩის შემდეგ, თუნდაც ძალიან ცუდად ეთამაშა, მადალ შეფასებას აძლევდნენ, თითქოს მისთვის მთავარი ქულები იყო.

ლოთარს „ბაიერნში" მეგობრები არასდროს ჰყოლია, ლიბეროს პოზიციაზე საუცხოო გახლდათ, კარგ პასებსაც არიგებდა, მაგრამ მატჩის შემდეგ მასთან საუბრის სურვილი არავის ჰქონდა.

ერთხელ ვარჯიშზე „კვადრატის" თამაშისას ლოთარმა შუაში ჩადგომა იუკადრისა. ბიქსენტ ლიზარაზუმ სილა შემოჰკრა — „თავი დამანებეთ გასახდელში მიედიეარ" — თქვა მათეუსმა. ვარჯიშის შემდეგ ჰიცფელდმა დამიბარა. „ორი ვარიანტია — მითხრა მან — ან ლიზარაზუ არ წამოვა შეკრებაზე და მომდევნო მატჩს გამოტოვებს, ან ჯარიმას გადაიხდის". „კი მაგრამ, ლიზარაზუს გარეშე ძალიან გაგვიჭირდება" — გავიკვირვე მე. „მაშინ ჯარიმა გადაიხადოს და საქმე ჩავფარცხოთ" — თქვა მწვრთნელმა.

„ბაიერნიდან" ლოთარ მათეუსის წასვლის მერე ყოველ ჩვენგანს ჩემპიონთა თასის მოგების დამატებითი მოტივაცია გაგვიჩინდა. მათეუსს ჩემპიონთა თასის გარდა ყველა ჯილდო ჰქონდა მოგებული. ახლაც არ მესმის, „მანჩესტერ იუნაიტედთან" ლიგის თასის ფინალში, მე-80 წუთზე შეცვალა რატომ ითხოვა. ჩვენ ხომ 1:0-ს ვიგებდით და ასეთ დროს გასვლა როგორ იკადრა? რაც არ უნდა ცუდად ეყოფილიყავი, მოედნიდან არ გავიდოდი. ფეხი თუ მომტყდებოდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში ეითხოვდი შეცვლას, ლოთარი ლიბერო იყო და ბევრი სირბილი არ უწევდა. მისი გამოცდილების პატრონს ათი წუთი როგორმე უნდა გაეძლო. დარწმუნებული ვარ, მათეუსს ბოლომდე რომ ეთამაშა, „მანჩესტერ იუნაიტედს" მოუგებდით. წაგებული ფინალის შემდეგ მისვლის საყვედური არავის უთქვამს, ლამის ყველაფერი მე დამაბრალეს.

არა მხოლოდ მანჩესტერთან მატჩში, მსოფლიოს 1990 წლის ფინალშიც არაკაცურად მოიქცა. მათეუსი ნაკრების კაპიტანი გახლდათ და პენალტებსაც ასრულებდა, მაგრამ თავი დაიზღვია და პენალტის დასარტყმელად ანდრეას ბრემე გაუშვა. წარმოუდგენელია, თვითონ ბრემე მისულიყო ლოთართან და თერთმეტმეტრიანი დარტყმის შესრულება ეთხოვა.

მშვიდობით, ლოთარ!

2000 წლის მაისში „ბაიერნმა" ლოთარ მათეუსს გასაცილებელი მატჩი მოწყო. თვით დიეგო მარადონა გვესტუმრა. „ოლიმპიაშტადიონზე" 45 ათასი გულშემატკივარი შეიკრიბა. ლოთარი შემპარდა, რომ შემოსაელის ნაწილს ჩემს პროექტს (HELP ME) შემოსწირავდა. ტელეკომპანია RTL-თან ერთად ჩრდილოეთ ტაილანდში საქველმოქმედო პროექტის განხორციელებას ვაპირებდი — სკოლა უნდა ამეშენებინა. „ბტეფან, შენ 50 ათას მარკას მიიღებ" — მითხრა მათეუსმა. ეს ფულიც დავგზავნეთ. ამ დროს თითქმის ყველა ერთერთობა მასაც აუარა. მარტინის კი მთავარში საყვარელი ადგილი ადგილის შესახებ დანამდვილებით ვიცოდი.

კლაუდია სასტუმრო „ინტერკონტინენტალში" დაბინავდა. სალამის ვახშამზე დამპატიჟა. რა თქმა უნდა, მივედი. საწოლზე ვისხედით, ვსაუბრობდით და უცაბ ვიგრძენი, რომ დამეს მასთან გავატარებდი.

ზედიზედ სამი დღის განმავლობაში ვსტუმრობდი, მერე კი კიოლნში დაბრუნდა. მარტი რომ დავრჩი, მიეხვედი — შემიყვარდა.

„ვერდერთან" საშინაო მატჩის შემდეგ დოუსელდორფში ბავარიასთან, სადაც კლაუდია დამხვდა. სასტუმროში დავბინავდით და ვითათბირეთ, როგორ მოვქცეულიყავით.

დილით მიუნხენში დავბრუნდი და მესიჯი გავუგზავნე: „საღამოს დამე მაჩუქე, ყველაფერი გადაბრალებული იყო. შენს სურვილებს ვითვალისწინებ. ულამაზესი ხარ. შტეფანი".

ვარჯიშის შემდეგ ტაილანდი ვიგრძე და კლაუდიას პასუხი წავიკითხე: „ასწორედ დამირეკე. ჩემი სასიყვარულო ამბავი ითქმის ბოლოს".

ასეთმა პასუხმა დამშოტა. ხელებს დასაწყნარებლად ლუდი დავალიე და მერე დავურეკე. გითხარი, რომ ტელეფონი თითქმის ეჭიჭავს და ჩემი მესიჯი წაუკითხავს. მერე გამწარებულს თურმე სასტუმროებში ქურქული დაეძებნა. ბოლოს კი ორი ბოთლი ლიქიორის არაყი თითო-თითო ძოწეულებით დაულევია. კლაუდია ავადმყოფობის ქმრის დამშვიდებას, მაგრამ ისაც დაუწყნარებია. ცოტა ხანში თითმასმა დამირეკა: „შენ ლაზარეთში ხარ?" თან დამიმტკიცა, რომ ყველაფერს გაზეთების „ალეფქვაეა".

„თომას დამშვიდი — ვეუბნები მე — ყველაფერი მოგვარდება. ბავშვმა თუ გინდა, ქალაქის მიხედით ეს ამბავი, მაშინ ნება შენია". ითხა ეკითხა ალარაფიდეს მილანიანი.

რამდენიმე კვირის განმავლობაში ეს ამბავი არავინ იცოდა, მერე კი გადავწყვიტე დიფარულის გამხელა და RTL-ის შოუში ვთქვი, რომ კლაუდია შტრუნცზე დაქორწინებას ვაპირებ.

შობის წინადღეს მარტინას კვეთხარი, რომ გაყრა ოფიციალურად გაგვეფორმებინა. ის დამთანხმდა და მითხოვა, ეს საქმე ამერიკაში მოგვეგვარებინა. 2004 წლის 3 ივნისს შერიფი მესტუმრა დასტა-დასტა საბუთებით. აღმოჩნდა, რომ მარტინას ჩემზე ადრე შეეტანია გაცხადება გაყრის თაობაზე. 12 წელი ვიცხოვრეთ ერთად. სამწუხაროა, რომ დავშორდით, მაგრამ ყველაფერი ვიღონეთ, რათა ბავშვებზე ამას ცუდად არ ემოქმედა.

კლაუდია განსაკუთრებული ქალია ეროტიკული და ლამაზი. თან შესანიშნავი დედა. ერთხელ ვეუბნები, ვნანობ, ერთმანეთს ადრე რომ არ შევხვედით-მეთქი, მაპასუხა, ოღონდაც, რომ შევხვედით, ესეც კარგია.

P.S. შტეფან ეფენბერგმა, რომელსაც ერთი კვირის წინ 37 წელი შეუსრულდა, იულისში ოფიციალური გამოსათხოვარი მატჩი გამართა მიუნხენელადმაბში. 38 ათას ადამიანს ნამატჩევს 15 ათასი ლაღური ლუდით გაუმასპინძლდა, ოლიმპში კი 6:6 დამთავრდა. ეფენბერგი ამჟამად კლაუდია შტრუნცთან ერთად ცხოვრობს ფლორიდაში.

დასასრული



ერთ ფოგთსი დაჯღანული სიფათით დაგვხვდა და გვისაყვედურა.

პირველ მატჩში ბოლიეის 1:0 მოეუგეთ. კვლავ მარჯვენა მცველად ვითამაშე. მწვრთნელი მეუბნებოდა, რომ ეს ადგილი ჩემთვის ზედგამოჭრილია, არადა, ცენტრში თამაში მსურდა.

მესამე მატჩი დალასში გაიმართა. სამხრეთ კორეას 3:0-ს ვუგებდით, დავმშვიდდით და უმალ ორი გოლი გაეუშვით. 45 გრადუსიან სიცხეში მოძრაობა გვეჭირდა. გერმანელი ფანები გამუდმებით მლანძღავდნენ. რაკი განაპირა მცველი ვიყავი, ყველაფერი კარგად მესმოდა. „ეეეფე, აახვიე აქედან!" — მიყვიროდნენ ქომაგები, ისიც კი ვიფიქრე, ფოგთს შეცვლას ვთხოვ-მეთქი.

